საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნონა თოლორაიას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	20
წერის უნარი	15	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	78	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

ნონა თოლორაია

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნონა თოლორაიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ნონა თოლორაიას შეფასებისას უნდა აღინიშნოს მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში რესპოდენტებისა და რეკომენდატორების მიერ გადმოცემული მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით, გამოყოფენ კანდიდატის ისეთ თვისებებს როგორიცაა დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პრინციპულობა, კეთილსინდისიერება, მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა, კომუნიკაბელურობა. რესპოდენტებიდან ერთი კანდიდატის ,,ნაკლოვანებად'' მიიჩნევს მის უკომპრომისობას.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებლით** კანდიდატის

		შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რეკომენდატორების შეფასებით რომ ნონა თოლორაია არის პრინციპული და დამოუკიდებელი პიროვნება. გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები. ნონა თოლორაია 2008-2010 წლებში იყო, რესპუბლიკური პარტიის წევრი და ეკავა ქ. ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობა. კანდიდატი 2012 წელს იყო პარტია ,,ქართული ოცნების'' წევრი და ეკავა სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში საოლქო შტაბების რეგიონალური კოორდინატორის თანამდებობა, ამასთან კანდიდატი წარმოადგენდა პარლამენტის წევრობის კანდიდატს პროპორციული სიით. **პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. გარშემომყოფთა და მიმართ გამოირჩევა თავაზიანი დამოკიდებულებით. რაც შეეხება მის ქცევას მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, საქართველოს გენერალური პროკურატურის იურიდიული სამმართველოს უფროსის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით - ნონა თოლორაიას მიმართ დისციპლინური დევნა არ მიმდინარეობს. რაც შეეხება კანდიდატის მხარედ მონაწილეობას საქმეში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფის - მენეჯმენტის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის, ასევე საქართველოს გენერალური

		პროკურატურის მიერ მიღებული და თავად კანდიდატის მიერ განაცხადში ასახული ინფორმაციის მიხედვით, ნონა თოლორაიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის განაჩენი მის მიმართ ცრუ და უკანონო ბრალდების საქმეზე. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით** შეფასებისას გათვალისწინებული იქნა კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია და მისი ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. კანდიდატი კოლეგებში სარგებლობს გაწონასწორებული პიროვნების და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. **ფინანსური ვალდებულების კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ნონა თოლორაიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ დეკლარაციასთან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოების და მახასიათებლის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ ნონა თოლორაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	14	20	**სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა ითქვას და აღინიშნოს კანდიდატის მიერ მატერიალური და საპროცესო, საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე დადებითია. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 04 03.2000 წელს. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 01 დეკემბრის ბრძანებით მინიჭებული აქვს მეორე კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება. კანდიდატს კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტები: - სააპელაციო საჩივარი მოსამართლის განაჩენზე; - შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე; - დადგენილება პირის ბრალდების შესახებ - დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ; - საპროცესო შეთანხმების დადების ოქმი. გასაუბრებისას კანდიდატის მხრიდან რიგ სამართლებრივ საკითხებზე გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ, მან სწორი პასუხი ვერ გასცა სისხლის სამართლის კუთხით დასმულ რიგ შეკითხვებს. ასევე ხარვეზით პასუხობდა კონსტიტუციური სამართლის დარგში დასმულ შეკითხვებს.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებული და გაანალიზებული იქნა მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები და უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტები დამაჯერებლად დასაბუთებულია. კანდიდატი საკუთარ პოზიციას ძირითადად ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად. მას ხანგრძლივი დროის პერიოდში არ განუხორციელებია სამოსამართლო საქმიანობა, ასევე გამოვლინდა ხარვეზები კანონმდებლობაში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებების ცოდნის კუთხით.
წერის უნარი	15	20	**წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატის - ნონა თოლორაიას შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ ის საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს გამართულად. მისი წერილობითი მსჯელობა ძირითადად თანმიმდევრული და ლოგიკურია. თუმცა, ხარვეზები გამოვლინდა წინადადებათა წყობის კუთხით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	15	**ზეპირი კომუნიკაციის მახასიათებლით შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - ნონა თოლორაია მეტყველებს გარკვევით და მშვიდად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. აქვს სხვათა აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარიც. გასაუბრებისას გამოვლინდა ხარვეზები სამართლებრივ საკითხის სწორად ჩამოყალიბების

			კუთხით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებლით შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, როდესაც იგი იყო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, სასამართლო პროცესს წარმართავდა თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ჰქონდა მოსამართლის შესაფერისი იერსახე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - ნონა თოლორაია ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. კერძოდ, უძღვებოდა სალექციო კურსს შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში. შემდეგ თემებზე: ,,ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბსუმციისა და კვალიფიკაციის პრობლემები" და ,,საყოველთაო სამართლებივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბსუმციისა და კვალიფიკაციის პრობლემები''. ბოლო დროს კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში იშვიათად მონაწილეობს.
პროფესიული აქტივობა	3	5	**პროფესიული აქტივობის მახასიათებლით შეფასებისას** კანდიდატს აქვს აქტიური მონაწილეობა მიღებული სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებში,

			შეხვედრებსა და სემინარებში. (ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) არის ავტორი არაერთი სამართლებრივი სტატიის (ჩამონათვალი იხ. კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) კანდიდატი ამჟამად არ ახორციელებს პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.
ქულათა ჯამი	78	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი: 29.05.21